ხელშეკრულება №22
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ოზურგეთი

28 იანვარი 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მერის, ბეგლარ სიორიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ოზურგეთის საგზაო სამმართველო" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის გია ჩხატარაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2551 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და CPV კოდი

1.1. ხელშეკრულების საგანია ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და თანდართული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.
1.2. CPV კოდი: 45246200 - მდინარის ნაპირის დამცავი სამუშაოების წარმოება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **29 870 (ოცდაცხრაათასრვაასსამოცდაათი)** ლარს.
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2015 წლის 1 აპრილი.
3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ.
3.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების, ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეკრულების შესრულების, მონიტორინგისა და კონტროლის ჯგუფი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებული სამუშაოს (ეტაპის) ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე შედგენილი მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დამოწმებული შესაბამისი აქტის საშუალებით.
5.2. სამუშაოს (ეტაპის) დასრულების შემდეგ მიმწოდებელი წერილობით მიმართავს შემსყიდველს, წერილს თან უნდა ერთვოდეს შესყიდვის ობიექტის მიღებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.
5.3. მიმწოდებელმა ინსპექტირების პერიოდში უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი ინსპექტირების ჯგუფის წევრების შესყიდვის ობიექტის ადგილზე ტრანსპორტირება.
5.4. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
5.5. ფარული სამუშაოს შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით უნდა შედგეს შესაბამისი აქტი, რომელსაც უნდა ერთოდეს სამუშაოს შესრულების ამსახველი ფოტომასალა, სადაც ასახული იქნება სამუშოს ყველა ეტაპი (დაწყებამდე,

მიმდინარეობის პროცესი, დასრულების შემდეგ).

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხის დასადასტურებლად მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან მიმართებაში შესაბამისობაზე.

6.2. ექსპერტიზის ხარჯები გათვალისწინებული იქნება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტში.

6.3. შესრულებული სამუშოს საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტები, შეადგენს 1 (ერთი) წელს.

6.4. საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას, სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით, შესაბამის თანხაზე უპირობო საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

7.4. შემსრულებელს ავანსად მიღებული თანხა დაუკავდება ეტაპობრივად - შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

7.5. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე „ფორმა №2"-ისა და შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული აქტის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.6. შუალედური ანაზღაურება განხორციელდება არაუმეტეს ნაზარდი ჯამით სახელშეკრულებო ღირებულების 80 %-სა.

7.6. საბოლოო ანაზღაურება მოხდება შესრულებულ სამუშოზე გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუტმეტი) სამუშო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

- გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
- აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების შესაბამისად.

8.2. „შესყიდველს" უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დააკმაყოფილოს „შემსყიდველის" მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სამუშაოების პარალელურად მისი ძალებითა და სახსრებით სამუშაო მოედანი პერიოდულად გათაავისუფლოს სამშენებლო ნაგვისაგან, ნარჩენი მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

8.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1% ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის" მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში, „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით;

9.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საჯარიმო თანხა გადაიხადოს შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი არ გამოიყენება.

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

11.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი

მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

15.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
15.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების, ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეკრულების შესრულების, მონიტორინგისა და კონტროლის ჯგუფი.
15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.
16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი პირი ინახება შემსყიდველთან, ერთი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
16.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.
16.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.
16.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ

მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი,
კოსტავას ქ. №1. ტელ.: 551 19 91 91
საინდენტიფიკაციო კოდი: 237 113 850
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა 200122900

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:

გ. სიორიძე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ოზურგეთის საგზაო სამმართველო“
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ლესელიძის ქ. №85;
ტელ.: 595 77 88 69
საიდენტიფიკაციო კოდი: 237 081 153
ბანკის დასახელება: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE28VT 4300 0000 0009 3605

შ.პ.ს. „ოზურგეთის საგზაო სამმართველო“-ს დირექტორი:

გ. ჩხატარაშვილი

საქართველო

საქართველოს გზათა სამეცნიერო – კვლევითი და

საწარმოო – ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი

შპს „საქგზამეცნიერება“

ქ. ოზურგეთში 2014 წლის 29 სექტემბრის სტიქიის შედეგად გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებები

6. თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა

II. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

შპს „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი	თ. შილაკაძე
მთავარი ინჟინერი	გ. ჩიგოგიძე
პროექტის მთავარი ინჟინერი	თ. აზანიშვილი
ხარჯთაღმრიცხველი	ლ. დანელია

თბილისი – 2014

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. განმარტებითი ბარათი
2. ნაკრები ხარჯთაღრიცხვის ანგარიში
3. ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №4-6 – თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა

განმარტებითი ბარათი

ქ. ოზურგეთში 2014 წლის 29 სექტემბრის სტიქიის შედეგად გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებების (თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა) სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „საქგზამეცნიერება"ს მიერ, ქ. ოზურგეთის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2014 წლის III კვარტლის ფასებში.

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია რესურსული მეთოდით: კაც/სთ ღირებულება აღებულია 4.6 ლარი, მასალებისა და სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მან/სთ ღირებულებები – 2014 წლის III კვარტლის მონაცემებით, მშენებლობის შემფასებლთა კავშირის სამშენებლო რესურსების ფასების კრებულის მიხედვით. მასალების ღირებულებაში გათვალისწინებულია ტრანსპორტირების ხარჯები.

ერთეული გაფასებები განსაზღვრულია 1984 წლის სნ და წ შესაბამისი ცხრილებით.

ზედნადები ხარჯები სამშენებლო სამუშაოებზე გათვალისწინებულია – 10%, სახარჯთაღრიცხვო მოგება – 8%.

დ.ღ.გ.-ს ჩათვლით ობიექტის მშენებლობის მთლიანი ღირებულება შეადგენს **29.87** ათას ლარს.

პროექტის
მთავარი ინჟინერი — თ. აზანიშვილი

ხარჯთაღმრიცხველი — ლ. დანელია

დამტკიცებულია:
კრებსითი სახარჯთაღრიცხვო ანგარიში ათ. ლარი
მათ შორის უკუქცევითი თანხა ათ. ლარი

კრებსითი სახარჯთაღრიცხვო ანგარიში

ქ. ოზურგეთში 2014 წლის 29 სექტემბრის სტიქიის შედეგად გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებები

6. თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა

შედგენილია 2014 წლის III კვარტლის ფასებში

№ პ/პ	ხარჯ-ების და გაანგ-ების №	თავების, ობიექტების, სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	რაოდენობა				ს უ ლ სახარჯთ. ღირებულება
			სამშენ. სამუშაოები	სამონტ. სამუშ.	მოწყობილობა, ავეჯი, ინვენტარი	სხვა ხარჯები	
1	2	3	4	5	6	7	8
		თავი 1. მშენებლობის ტერიტორიის მომზადება	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 2. მიწის ვაკისი	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 3. საგზაო სამოსი	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 4. ხელოვნური ნაგებობები					
1	4-6	თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა	24.05				24.05
		სულ თავი 4-ის მიხედვით	**24.05**				**24.05**
		თავი 5. მიერთებები და გადაკვეთები	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 6. გზის კუთვნილება და მოწყობილობა	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 7. საგზაო და ავტოსატრანსპორტო სამსახური	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				

		თავი 8. გზასთან მისასვლელები	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 9. დროებითი შენობა-ნაგებობები	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 10. სხვადასხვა სამუშაოები და დანახარჯები	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		თავი 11. დირექციის შენახვის ხარჯები	სამუშაოები და დანახარჯები არ არის				
		1-11 თავების ჯამი	24.05				24.05
2		გაუთვალსწინებელი ხარჯები - 3%				0.72	0.72
		სულ	24.05			0.72	24.77
3		დ. დ. გ. -18%				4.46	4.46
		სულ	24.05			5.18	29.23
4		ექსპერტიზის ხარჯები - 2.2%				0.64	0.64
		სულ კრებსითი ხარჯთაღრიცხვის ანგარიშით	24.05			5.82	29.87

შპს „საქგზამეცნიერება"ს გენერალური დირექტორი — თ. შილაკაძე

პროექტის მთ. ინჟინერი — თ. ახანიშვილი

ხარჯთაღმრიცხველი — ლ. დანელია

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №4-6

6. თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა

საფუძველი: სამუშაოთა მოცულობების უწყისი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **24.05** ათ.ლარი

შედგენილია 2014წლის IIIკვ. ფასებში

№	შიფრი	სამუშაოს და ხარჯების დასახელება	განზ.	საპროექტო რაოდენობა	ერთეული ღირებ-ულება ლარი	საერთო ღირებ-ულება ლარი
1	2	3	4	5	6	7
		გაბიონის კედელი				
1		მშენებარე ობიექტთან დროებითი ტექნოლოგიური გზის მოწყობა:				
	1-29-6 1-29-12	გრუნტის დამუშავება ბულდოზერით, გადაადგილება 20მ-ზე მდინარის მხარეს	$მ^3$	28	0.54	15
2	1-22-9 1-29-6 1-29-12	დროებითი ტექნოლოგიური გზის მოხრეშვა მდინარის კალაპოტის გრუნტით სისქით 10სმ, სიგანით 3.0მ	$მ^3$	8.4	4.64	39
3	1-29-6 1-29-12	გრუნტის დამუშავება მდინარის კალაპოტში-ლეიბებისათვის მიწის მოსწორება ბულდოზერით, დამუშავებული გრუნტის გადაადგილება 20მ-ზე მდინარის მხარეს	$მ^3$	32	0.54	17
4	თ.1.8-10	გაბიონის ყუთების საფუძველი-რენო მატრასის ზომ. 2X4X0.5(h)მ მავთული 2.7მმ	ც	29	139.45	4044
5	თ.1.8-5	გაბიონის ყუთები ზომ. 2X1X1 მ მავთული დ-2.7მმ. (მაკაფერი)	ც	87	76.07	6618
6	თ.1.8-13	ლეიბების და გაბიონის ყუთების გადასაბმელი (სამონტაჟო) მავთული დ-2.2მმ (54+80)კგ	კგ	136.0	3.4	462
7	1-22-12	გაბიონის ყუთებისა და ლეიბებისათვის რიყის ქვების მოძიება მდინარის კალაპოტში, დატვირთვა ა/თვითმცლელებზე ხელით და შემოტანა ობიექტზე 116+174	$მ^3$	290	18.74	5435
8	1-81-4	შემოტანილი ქვის ჩაწყობა მავთულბადეში თავის გადაწვნით და ნაწიბურების ჩამაგრებით	$მ^3$	290	9.58	2778
9	1-29-6 1-29-12	მდინარის კალაპოტში დამუშავებული გრუნტის გადაადგილება ბულდოზერით გაბიონის კედლის მხარეს გრუნტის გადაადგილებით 20მ-ზე	$მ^3$	60	0.54	32
10	1-29-6 1-29-12 კ=4	მდინარის კალაპოტში სველი გრუნტის დამუშავება ბულდოზერით და დამუშავებული გრუნტის გადაადგილება 50მ-ზე, სიცარიელების შესავსებად კედლის უკანა მხარეს	$მ^3$	112	7.17	803

1	2	3	4	5	6	7
		სულ	ლარი			20244
		ზედნადები ხარჯები	%	10		2024
		სულ	ლარი			22269
		სახარჯთაღრიცხვო მოგება	%	8		1781
		სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი			**24050**